ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N31

ქ.თბილისი

22 ნოემბერი, 2018 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
თევდორე ისაკაძე
თინათინ ნიბლოშვილი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
ავთანდილ ცინცაძე
ქეთევან ჯოხაძე
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან არველაძე
გულია გოცირიძე
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
თამარ ტალიაშვილი
ლევან ჯაფარიძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“.

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

მომხრე - 25
თავი შეიკავა - 0
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი გაზრდილია 10 მილიონი ლარით და შეადგენს 871631500 ლარს. ბიუჯეტით წარმოდგენილია ზრდა განათლების და სოციალური მიმართულებით, ხოლო ინფრასტრუქტურის მიმართულებით კლება განპირობებულია იმით, რომ გათვალისწინებული არ არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსალოდნელი ტრანსფერები, რომლის გათვალისწინებითაც კიდევ უფრო გაიზრდება თბილისის ბიუჯეტი. ასევე, აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებმა და ფრაქციებმა, ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, წარადგინეს რეკომენდაციები, რომლებიც ძირითადად ეხება ინფრასტრუქტურული პოექტების თანაბრად გადანაწილებას თბილისის ყველა რაიონში, საბავშვო ბაღების თანამშრომლებისთვის ხელფასების მომატებას, უფასო სასადილოების და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიმართულებით დაფინანსების გაზრდას. ირაკლი ზარქუამ იმედი გამოთქვა, რომ საკრებულოს კომისიების და ფრაქციების რეკომენდაციები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ბიუჯეტის პროექტში.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ თბილისის ბიუჯეტი კიდევ უფრო ბევრად გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსალოდნელი ტრანსფერების გათვალისწინებით. ამის შესახებ ინფორმაცია ქალაქის მერმაც დააანონსა და იმედი გამოთქვა, რომ ბიუჯეტის შემდგომ პროექტში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული საკრებულოს კომისიების და ფრაქციების რეკომენდაციები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი